პროდუქცია

პროდუქცია

.....

იფანი ჩვეულებრივი - Fraxinus Excelsior
იფანი არის - 30-40 მეტრამდე სიმაღლის ხე . იგი სინათის მომთხოვნი ჯიშია. იფანს ტენი უყვარს და კარგად ვითარდება საშალო ტენიან ნიადაგებზე.
ჩვეულებრივ იგი მოითხოვს ღრმა და ხუმუსიან ნიადაგებს. ძლიერი ფესვთა სისტემის გამო იგი ქარგამძლეა.

იფანი - 30-200სმ
იფანი (კონტეინერი) - 10-30სმ

.....

ნეკერჩხალი (მინდვრის) - Acer (Campestre) - საშუალო, მე-2 სიდიდის 15-20 მეტრამდე სიმაღლის ხეა, განიერი ბურთისებრი ვარჯით. იგი სინათლისა და სითბოს მომთხოვნია, იტანს მშრალ პირობებსა და ნიადაგის სიმწირეს, კარგად ეგუება კირიან ნიადაგებს, ვერ იტანს დაჭაობებულ ნიადაგს. მინდვრის ნეკერჩხალი ქვედა სარტყლის ანუ დაბლობების ჯიშია. მისი კულტურები შენდება წმინდა ან შერეულ კულტურებად.

ნეკერჩხალი - (მინდვრის) - 30 - 100სმ

.....

აკაცია (თეთრი) - Robinia (pseudoacacia) - თეთრი აკაცია 25-30 მეტრი სიმაღლის ხეა. იგი სითბოს მომთხოვნი მცენარეა. როგორც სინათლის სახეობა, მისი გაშენება ჩრდილოვან ადგილას არ შეიძლება. იგი მართალია იტანს სიმშრალეს მაგრამ ზრდაში მალე ქვეითდება. კარგად იზრდება ღრმა, ტენიან ნიადაგებზე. არის საუკეთესო საბიჯგე მასალა.

აკაცია (თეთრი) - 50-200სმ
აკაცია (კონტეინერი) - 10-30სმ

.....

ნუში (ჩვეულებრივი) - Amygdalus Communis - დაბალ ტანიანი ხე ან ბუჩქია. ნაყოფი მწარეა, მისი ტკბილნაყოფიანი ფორმები უფრო ხშირად ხელოვნურად არის გავრცელებული. ნუში სინათლის ჯიშია მშვენივრად უძლებს მშრალ ურწყავ ფართობებს. თავისი გვალვა გამძეობის გამო გამოიყენება მშრალი ფერდობების გასატყევებლად. მის გულს იყენებენ თირკმელების და ღვიძლის სამკურნალოდ.

ნუში (ჩვეულებრივი) - 50-150სმ
ნუში (ჩვეულებრივი) (კონტეინერი) - 20-40სმ

.....

საპნის ხე - koeleeuteria paniculata - დაბალი ხე ან ბუჩქია. გაშლილი განიერი ვარჯი. იგი სინათისა და სითბოს მომთხოვნი მცენარეა. ადვილად იტანს მშრალ გარემო პირობებს. კარგია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი და მთის წინა კალთების მშრალი ადგილების გამწვნაება - გატყევებისათვის.

საპნის ხე - 40-120სმ
საპნის ხე (კონტეინერი) - 10-15სმ

.....

თრიმლი - Cotinus coggygria - ტანმაღალი 2-4 მეტრამდე სიმაღის ბუჩქია. კარგ პირობებში 12 მეტრამდე სიმაღლის ხედ იზრდება. ნიადაგში ლპობაგამძლეა. თრიმლის სიმშრალის ამტანი, სინათისა და სითბოს მოყვარული სახეობაა. დიდ მოთხოვნას არ უყენებს ნიადაგს. კარგად ხარობს მშრალ, ხრიოკ და ჩამორეცხილ ფართობებზე. არის დეკორატიული მცენარე, ფოთლები მწვანე აქვს და შემოდგომით წითელ ფერს იღებს, ამის გამო ბაღ-პარკებში.

თრიმლი - 70-150სმ

.....

ფშატი - Elaeagnus Angustifolia- ფშატი 5-7 მეტრი სიმაღლის ხეა ეკლიანი ტოტებით. ძლებს წყალში, ნაყოფი ვარგისია საკვებად. ის სინათლისა და სითბოს მომთხოვნი მცენარეა, ძლიერი სიმშრალის ამტანია, ნაკლებ მოთხოვნას უყენებს ნიადაგს. ამ თვისებების გამო იყენებენ ჩამორეცხილ მიწებზე ნიადაგის დასაცავად.

ფშატი - 50 - 120სმ
ფშატი (კონტეინერი) - 20 - 40სმ

.....

კურდღლის ცოცხა (შუშხუნა) - Spartium junceum - კურდღლის ცოცხა 2-3 მ სიმაღლის ბუჩქია. ყვავის მაის-ივნისში ყვითელი მსხვილი ყვავილით. იგი ლამაზი დეკორატიული მცენარეა, ამასთან კარგად ეგუება მშრალ და მწირ ნიადაგებს. დაჯირკვის შემდეგ კარგად განახლდება. კურდღლის ცოცხა სინათლისა და სითბოს მოყვარული მცენარეა.

კურდღლის ცოცხა (შუშხუნა) - 80 - 200სმ

.....

აკაკი (კავკასიის, შიშველი) - Celtis (caucasica, glabrata) - აკაკი ხე ან ბუჩქია, იზრდება 15 მეტრამდე სიმაღლის გაშლილი ქოლგისებრი ვარჯით. ნაყოფი იჭმევა, ახმობენ და ხარშავენ საზამთროდ. იგი ტიპური სინათლის ჯიშია, მოითხოვს სითბოს და ძლიერი სიმშრალის ამტანი სახეობაა. ეს სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში.

აკაკი (კავკასიის, შიშველი) - 15 - 50სმ
აკაკი (კავკასიის, შიშველი) (კონტეინერი) - 10 - 15სმ

.....

ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica - 15 მეტრამდე სიმაღლის ხედ იზრდება. აქვს განიერი ქოლგისებური ვარჯი. არის ტიპიური ქსეროფიტი, კარგად ხარობს თხელ ჩამორეცხილ ფართობებზე. მას შეუძლია გაუძლოს 45° ტემპერატურას, ძალიან წააგავს ბიჭვინთის ფიჭვს. ელდარის ფიჭვი შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში.

ელდარის ფიჭვი - 20 - 60სმ
ელდარის ფიჭვი (კონტეინერი) - 5 - 10სმ

.....

შავი ფიჭვი - Pinus (nigra) - შავი ფიჭვი 25-40 მეტრამდე ხეა. იგი არის ნიადაგისადმი ძიერ შემგუებელი. იზრდება მშრალ, კირნარ, თიხნარ ნიადაგებზე და ქვიშნარზე. შავი ფიჭვი სხვა სახეობებთან შედარებით უფრო ჩრდილის ამტანია. ფესვთა სისტემა პლასტიკურია და ნიადაგის სხვადასხვა პირობებს კარგად ეგუება. მთის პირობებში ქარგამძლეა, მოითხოვს მცირე ტენს. მისი გაშენება შეიძლება როგორც დაბლობებში ისევე ყველა ვერტიკალურ სარტყელში, ზღვის დონიდან 2000 მეტრამდე.

შავი ფიჭვი - 50 - 200სმ
შავი ფიჭვი (კონტეინერი) - 5 - 10სმ

.....

კვიპაროსი (მარადმწვანე) - Cupressus (sempervirens) - კვიპაროსის დიდი ნაწილი მაღალტანიანი ხეებია, იშვიათად _ ბუჩქები. საქართველოში მეტწილად გვხვდება მარადმწვანე კვიპაროსი: ტოტების გაწყობითა და ვარჯის მიხედვით ორ ძირითად ფორმას იძლევა: ჰორიზონტალურს და პირამიდალურს. მარადმწვანე კვიპაროსი პირველი სიდიდის ხეა (სიმაღლით 25 მეტრი. დიამეტრით 60-70 სმ. ცოცხლობს 2000 წლამდე). მის სამშობლოდ ავღანეთი ითვლება, საიდანაც გავრცელდა მცირე აზიასა და ევროპაში.

კვიპაროსი (მარადმწვანე) (კონტეინერი) - 5 - 15სმ

.....

ტუია - Tuia occidentalis - სითბოს მომთხოვნი მცენარეა. ადვილად ეგუება ნაირგვარ გარემო პირობებს. იტანს ნაწილობრივ დაჩრდილვას. ძირითადად გავრცელებულია ორი სახეობა - ტუია ჩვეულებრივი და ტუია კომპაქტური, ორივე ჯიში ძირიდანვე იტოტებიან და ბუჩქებს ქმნიან. კარგად იტანენ კრეჭვას, რის გამოც ფართოდ გამოიყენებიან დეკორატიულ მებაღეობაში.

ტუია - 50 - 100სმ

.....

ბიოტა აღმოსავლური - Biota Orientalis - ბიოტა 15-20 მეტრამდე სიმაღლის ხედ იზრდება. სითბოს მომთხოვნი მცენარეა. მოწონს ფხვიერი წყალგამტარი კირიანი ნიადაგები. ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მაღლა ადის. იგი იტოტება და ბუჩქებს ქმნის. კარგად იტანს კრეჭვას და ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში.

ბიოტა აღმოსავლური - 10 - 15სმ

.....

ნაძვი აღმოსავლური - Picea Orientalis - ნაძვი მასიურად გავრცელებულია ზღვის დონიდან 1000-დან 2000-მდე. 50 მეტრამდე სიდიდის ხედ იზრდება. ნაძვის მერქანს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. მსუბუქ მრეწველობაში საავეჯო და სამშენებლო მასალებში, ქაღალდის წარმოებასა და სხვა. ნაძვი ჩრდილისა და სიცივის ამტანია. მრავლდება ძირითადად თესლით, ინვითარებს ჰორიზონტალურ ფესვთა სისტემას და ქარქცევადია.

ნაძვი აღმოსავლური (კონტეინერი) - 5 - 15სმ

.....

ნაძვი (ვერცხლისფერი) - Picea pungens Engelman - ვერცხლისფერი ნაძვი როგორც დეკორატიული ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით ძვირფასი მცენარეა. იგი დიდი რაოდენობით გამოყოფს ფიტონციდებს(რომლებიც მიკრობებისგან ასუბთავებენ ჰაერს) და, თავის მხრივ, შთანთქავს მძიმე ლითონებს, პესტიციდებსა დ, გარემოში არსებულ სხვა შხამებს. იგი ცოცლობს სამას წლამდე და იზრდება 25-30 მეტრს, ეგუება ყოველგვარ კლიმატუ პირობებს , ინვითარებს ღრმაფესთვა სისტემას, იტოტება მიწის პირიდან რაც უფრო ლამაზ, მდგრად შეხედულებას ანიჭებს.

ნაძვი (ვერცხლისფერი) - 20 - 40სმ
ნაძვი (ვერცხლისფერი) (კონტეინერი) - 10 - 15სმ

.....

სოჭი კავკასიური - Abies Nordmaniana - სოჭი ზღვის დონიდან 1200 - 2200 მეტრამდე ადის. დასავლეთ საქართველოში იგი ხშირად 600 - მდე ჩამოდის. სოჭის 80 -მდე სიმაღლის და დიამეტრით 2.8 მეტრი ხედ იზრდება. თესლმსხმოიარობას 50 წლის ხნოვანებიდან იწყებს. უხვი მსხმოიარობა 2-3 წელიწადში ერთხელ ახასიათებს. სოჭი კარგად იზრდება საშუალო ტენიან ნიადაგებზე. ჩრდილის ამტანი სახეობაა, საკმაოდ ძლიერ ფესვთა სისტემას ინვითარებს და ქარგამძლეა.

სოჭი კავკასიური (კონტეინერი) - 5 - 10სმ

.....

კედარი (ჰიმალაის) - Cedrus Diadora - კედარი დიდი სიდიდის ხეა. სიმაღლე 40-50 მდე იზრდება. კედარი ახალგაზრდობაში ნელა ხოლო 15-20 წლის შემდეგ სწრაფად იზრდება. ჰიმალაის კედარი ერიდება მშრალ პირობებს და ნიადაგის მიმართ დიდ მოთხოვნილებას არ იჩენს.

კედარი (ჰიმალაის) - 20 - 30სმ
კედარი (ჰიმალაის) (კონტეინერი) - 10 - 20სმ

……

ფიჭვი (კავკასიური) - Pinus Caucasica - გავრცელებულია კავკასიასა და ყირიმში. იგი პირველი სიდიდის ხეა და 35 მეტრამდე აღწევს. ზღვის დონიდან 800-2000 - მეტრამდე ადის. ტენიანი ჰავის პირობებში სწრაფი ზრდით ხასიათდება.

ფიჭვი (კავკასიური) (კონტეინერი) - 10 - 15სმ

……

წიფელი აღმოსავლური - Fagus Orientalis - საქართველოში გავრცელებულია აღმოსავლეთის წიფელი. დასავლეთ საქართველოში იგი ჩამოდის ზღვის დონემდე, ხოლო აღმოსავლეთში 400-600 მეტრამდე. ზედა ზღვარი 2300 მეტრამდე ადის. საუკეთესო კორუმებს თავის სარტყელში 1100 - 1600 მეტრამდე ქმნის. წიფლის მერქანს ფართო გამოყენება აქვს მშენებლობებში, საავეჯო წარმოებებში, ქიმიურ მრეწველობასა და მედიცინაში. იგი ჩრდილის ამტანი ჯიშა.

წიფელი აღმოსავლური (კონტეინერი) - 10 - 20სმ

.....

წაბლი - Castanea Sativa - წაბლი პირველი სიდიდის ხეა. სიმაღლით 30 მეტრამდე იზრდება. იგი გავრცელებულია ძირითადად მთის ტყეების ქვედა სარტყელში და მთაში ადის 1500 მეტრამდე ზღვის დონიდან. ტიპიური სითბოსა და სინესტის მომთხოვნი ჯიშა. წაბლი ნიადაგის მიმართ საკმაოდ მომთხოვნია. მისთვის საჭიროა ღრმა ხუმუსით მდიდარი ნიადაგი. ვერ იტანს ნიადაგშ კირის არსებობას. წაბლი ძვირფასია მერქანის კარგი ღირსებისა და ნაყოფის კარგი თვისებების გამო.

წაბლი (კონტეინერი) - 20 - 40სმ

.....

კაკალი - Juglas regia - კაკალი უძვირფასესი მცენარეა თავისი უნიკალური თვისებებით. გამოიყენება მისი თითქმის ყველა ნაწილი. ძვირფასია ნაყოფი - ნიგოზი, როგორც კვების პროდუქტი თავის მრავალმხრივი გამოყენებით. მერქანი შესანიშნავი და შეუცვლელია საავეჯოდ. კაკლის ხე 15-30 მეტრამდე იზრდება. იგი სინათლის მომთხოვნი მცენარეა. ყინვებისადმი კაკალი საკმაოდ მგრძნობიარეა. კარგად იზრდება ქვიშნარ, მსუბუქ და საშუალო თიხნარ ნიადაგებზე. მაგრამ ვერ იტანს ნადგომ გრუნტის წყლებს.

კაკალი (კონტეინერი) - 10 - 30სმ

……

მუხა (ქართული) - Quercus Iberica - მუხა საქართველოში ტყის შემქმნელი ერთ-ერთი მთავარი ჯიშია. ქართული მუხა 18-20 მეტრამდე სიმაღლის ხეა. მუხის სარტყელად ითვლება ზღვის დონიდან 500 - დან 1200 - მეტრამდე. აქვს ღრმა ძლიერი ფესვთა სისტემა და ეგუება სიმშრალეს. იგი პირველ ხანებშ იზრდება ნელა შემდეგ კი მისი ზრდის ინტენსიურობა მატულობს.

მუხა (ქართული) - 20 - 40სმ
მუხა (ქართული) (კონტეინერი) - 20 - 40სმ

……
მუხა (ჭალის) - Quercus Longipes - ჭალის მუხა პირველი სიდიდის ხეა, იგი 30 მეტრამდე სიმაღლის იზრდება. ძლიერი დიდი გაშლილი ვარჯით. ჭალის მუხა გავრცელებულია ჭალებისა და დაბლობების მეორე ტერასებზე. იგი სითბოს, სინესტის და ღრმა ნიადაგების მომთხოვნია.

მუხა (ჭალის) - 20 - 50სმ
მუხა (ჭალის) (კონტეინერი) - 15 - 30სმ

.....

მუხა (აღმოსავლური) მაღალ მთის - Quercus macranthera - მაღალ მთის მუხა საშუალო სიმაღლის ან ტანდაბალი ხეა. 10-18 მეტრი სიმაღლის. იგი სიცივის ამტანია. ზღვის დონიდან 1200-2400 მეტრამდეა გავრცელებული. ეგუება ხრიოკდა საშუალო სიღრმის ნიადაგებს.

მუხა (აღმოსავლური) მაღალ მთის (კონტეინერი) - 10 - 20სმ

.....

პანტა - Pyrus Communis - პანტა ტანმაღალი მეორე სიდიდის ხეა. 20 მეტრამდე სიმაღლის იზრდება. სინათლის ჯიშია ასევე სიცივისა და სიმშრალის ამტანია. სიმშრალეს ღრმად განვითარებული ფესვთა სისტემით უძლებს. ზღვის დონიდან 1600-1800 მეტრამდე ადის. პანტის ნაყოფი როგორც ახალი ისე გადამუშავებული ფართოდ გამოიყენება სახალხო მედიცინაში. ასევე მისგან ამზადებენ წვენებს ესენციებს, ღვინოებს, ბურახს, ხილფაფებს ჩირებს და სხვა. პანტა ფართოდ გამოიყენება მეხილეობაში საძირედ.

პანტა (კონტეინერი) - 10 - 15სმ

.....

მაჟალო - Malus Orientalis - მაჟალო სითბოს მომთხოვნია და მისი გაშენება შეიძლება ქვედა და შუა სარტყელის ტყეებში ღია განათებულ ფერდობებზე. მაჟალოს კულტურა გავრცელებულია მთელს კავკასიაში. იგი ფართოდ გამოიყენება სახალხო მედიცინასა და კვების მრეწველობაში. იგი გამოიყენება საძრედ მეხილეობაში.

მაჟალო (კონტეინერი) - 10 - 15სმ

.....

ბალამწარა - Prunus Avium - ბალამწარა 30 მეტრამდე სიდიდის ხეა. იგი სინათლის სახეობაა, ზღვის დონიდან 2000 მეტრამდე ხარობს. ბალამწარა თაფლოვანი მცენარეა, მისი ნაყოფი მწარეა. ნაყოფი გარეული ფრინველების და ცხოველების საუკეთესო საკვებია. კურკისგან გადამუშავებით მიიღება ზეთი რომელიც ფართოდ გამოიყენება პარფიუმერულ მრეწველობაში. მას ააქვს განსაკუთრებული მერქანი წითელი გულით, რომელიც ადვილად მუშავდება. იგი როგორც საძირედ გამოიყენება ასევე კულტურული ალუბლისა და ბლის სამყნობლად.

ბალამწარა - 20 - 40სმ